# როგორ დავგეგმოთ ღონისძიებები მოსწავლეთა ჩართულობით – ტოლერანტობის ფესტივალი

ავტორი **თემურ სუყაშვილი**

ღონისძიებები სასკოლო ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. დღემდე კარგად მახსოვს ბავშვობაში ზეიმებისთვის დაზეპირებული ლექსები, გამოსასვლელი სიტყვები და ა.შ. სამწუხაროა, რომ მაშინ ჩვენ არ გვესმოდა და არც არავინ გვიხსნიდა, რატომ ანბ რისთვის ვმართავდით ამა თუ იმ ღონისძიებას, რა იყო მათი მიზანი ან დანიშნულება.

სკოლაში, ახლა უკვე პედაგოგის სტატუსით, ხშირად მიწევს საერთაშორისო თუ ადგილობრივი მნიშვნელობის თარიღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზება, რისთვისაც აქტიურად ვიყენებ სასკოლო ფესტივალის პრაქტიკას.

რატომ სასკოლო ფესტივალი?

ფესტივალი მოითხოვს კარგ დაგეგმვას, მომზადებასა და ჩატარებას. მისი მასშტაბურობიდან გამომდინარე, საჭიროა საორგანიზაციო გუნდის ჩამოყალიბება, რადგან მხოლოდ ერთი ან ორი პედაგოგი არ გვევლინება საორგანიზაციო სამუშაოების შემსრულებლად ან ინიციატორად. აქედან გამომდინარე, ეს მიდგომა ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას. დაგეგმვის პროცესში მოსწავლეები ეძებენ ინფორმაციას, ეცნობიან ამა თუ იმ დღის დაწესების ისტორიულ თუ სამართლებრივ კონტექსტს, უწევთ მუშაობა წყაროებზე, რაც ზრდის მათ ინფორმირებულობას. იმავდროულად, უვითარდებათ მნიშვნელოვანი უნარები (ინფორმაციის მოძიების, დახარისხების, წარდგენა/ვიზუალიზაციის, კომუნიკაციის), ეჩვევიან პასუხისმგებლობის გაზიარებას. შედეგად კი სანდო ინფორმაციით შეიარაღებულები და უნარებით აღჭურვილები თამამად ესაუბრებიან თანატოლებს.

ფესტივალის ფარგლებში შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის აქტივობათა თავმოყრა. ფილმების ჩვენება, სპექტაკლები, გამოფენები, როლური თამაშები, პრეზენტაციები და დისკუსიები – ეს იმ აქტივობათა მცირე ჩამონათვალია, რომლებიც შეიძლება შევთავაზოთ დაინტერესებულ საზოგადოებას.

პროცესები ერთდროულად სხვადასხვა ლოკაციაზე მიმდინარეობს. სასკოლო საზოგადოებას საშუალება აქვს, თვითონ აირჩიოს სასურველი ფორმატი და დაესწროს მისთვის საინტერესო აქტივობას.

მოგიყვებით მარნეულის მეორე საჯარო სკოლაში 16 ნოემბერს, ტოლერანტობის საერთაშორისო დღეს, გამართული ფესტივალის ამბავს.

ჩვენი სკოლა მულტიკულტურული გარემოთი გამოირჩევა. სასკოლო თემი სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელებს აერთიანებს. სწორედ ასეთ გარემოშია მნიშვნელოვანი ტოლერანტობის, თანასწორობის, მრავალფეროვნებისა და დისკრიმინაციის თემებზე საუბარი.

©განათლების e- სახლი

**როგორ დავგეგმეთ**

ნოემბრის დასაწყისში სკოლის სამოქალაქო კლუბის რამდენიმე შეხვედრა გავმართეთ. შეხვედრებზე განვიხილეთ, რისი გაკეთება იყო შესაძლებელი ჩვენი რესურსებით. გამოიკვეთა რამდენიმე საინტერესო იდეა: ფილმების ჩვენება, ნახატების გამოფენა, პრეზენტაციების გამართვა, სპექტაკლის წარმოდგენა და ა.შ. შემდეგ ინტერესების მიხედვით მოსწავლეები ჩაუდგნენ სათავეში კონკრეტული აქტივობების ორგანიზებას.

მომდევნო ეტაპი იყო ლოკაციების შერჩევა. ფესტივალის დასკვნითი ღონისძიებისთვის „განათლების ბაღი“ შევარჩიეთ, სადაც ნახატების გამოფენა და სპექტაკლის ჩვენება გაიმართა.




| ღონისძების დასახელება | საათი: | ჩატარების ადგილი: |
|---|---|---|
| ფილმის ჩვენება „მრავალფეროვნების კვალდაკვალ“ | 10:00 | IX ბ კლასის საკლასო ოთახი |
| როლური თამაში „ადამიანების უფლებები გუშინ და დღეს“ | 11:00 | სკოლის სტადიონი |
| ფიილმის ჩვენება „პლანეტა 51“ | 12:00 | კომპიუტერის ოთახი |
| ფილმის ჩვენება „საოცრება“ | 12:00 | IX გ კლასის საკლასო ოთახი |
| სპექტაკლი „გოგოა თუ ბიჭი“ და დისკუსია | 14:00 | განათლების ბაღი |
| ნახატების გამოფენა | 15:00 | განათლების ბაღი |

საორგანიზაციო გუნდმა წარმატებით ითანამშრომლა სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობასთან. მათი დახმარებით გაავრცელეს ინფორმაცია ნახატების კონკურსის თაობაზე და აქტიურად ჩართეს თვითმმართველობის წევრები ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში.

საგანგებოდ ფესტივალისთვის დაიწერა სცენარი გენდერულ თანასწორობაზე.

©განათლების e- სახლი

მინისპექტაკლის გათამაშების შემდეგ გაიმართა დისკუსია. დისკუსიის შემდეგ, ფორუმ თეატრის ფორმატით, წარმოდგენილი არასასურველი რეალობა მსახიობების ჩანაცვლებით მისაღები რეალობით შეცვალეს. განათლების ბაღშივე გაიმართა ტოლერანტობის, თანასწორობის, მრავალფეროვნებისა და დისკრიმინაციის თემატიკაზე შექმნილი ნახატების გამოფენა. გამოვლინდა სამი გამარჯვებული ნახატის ავტორი, რომლებსაც გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები.

დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის გაიმართა შემდეგი ფილმების ჩვენება: „საოცრება“, „პლანეტა 51“ და “მრავალფეროვნების ძიებაში”. ჩვენებას მოჰყვა წამოჭრილ საკითხებზე დისკუსიები და განხილვები, რომლებსაც სამოქალაქო კლუბის წევრები უძღვებოდნენ. დამსწრეებმა გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულებები, ხაზი გაუსვეს ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების დაფასებას სკოლაში და სკოლის გარეთ.

სამოქალაქო კლუბის წევრმა დანიელ ხუციშვილმა მოამზადა პრეზენტაცია, სადაც დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს მარტივი და გასაგები ენით ესაუბრა დისკრიმინაციასა და მის შედეგებზე. პრეზენტაციის ბოლოს ნაჩვენები იქნა ანიმაცია „Birds on a Wire“, რომლის შესახებაც მე-5 და მე-6 კლასის მოსწავლეებმა მოსაზრებები გამოთქვეს (იხ. თანდართული ფაილი – პრეზენტაცია).

სკოლის სტადიონზე სამოქალაქო კლუბის წევრებმა დაგეგმეს როლური თამაში საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის. თამაში ეხებოდა ადამიანის უფლებებსა და დისკრიმინაციის აკრძალვას.

ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული აქტივობების შედეგად მოსწავლეებს აუმაღლდათ ცნობიერება ტოლერანტობის, თანასწორობის, მრავალფეროვნების, დისკრიმინაციის და საზოგადოდ ადამიანის უფლებების შესახებ, უშუალო მონაწილეებმა კი გამოიმუშავეს დისკუსიის დაგეგმვისა და გაძღოლის, კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობისა და სხვა მნიშვნელოვანი უნარები. ფესტივალი ადგილობრივმა მედიამ გააშუქა.

https://www.youtube.com/watch?v=KSoyWTonBCk

საერთო ჯამში ტოლერანტობის ფესტივალში 160-ზე მეტმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა.

კოლეგებს ვურჩევ, გამოიყენონ ფესტივალის ფორმატი – ეს გაზრდის მოსწავლეთა მოტივაციას, შეისწავლონ ესა თუ ის მოვლენა და აუდიტორიამდე მიიტანონ მიღებული და გადამუშავებული ინფორმაცია საკუთარი ხედვით. ამგვარად, კონკრეტული საკითხის შესასწავლად აღნიშნული მიდგომა ძალიან ეფექტურია.

©განათლების e- სახლი